



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო  
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE  
 BODY**



**მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის**

**ო კ მ ი N08**

ქ. მარნეული

20.07.2022 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:  
 საკრებულოს წევრები: -

ამირან გიორგაძე, ტარიელ მამედოვი, რიჩარდ გიგანი, ბესიკ გელენიძე, ვასილ ხახულაშვილი, თეონა ფარჯიანი, ზურაბ ჭონიაშვილი, ადილ ალიევი, გივი გიორგაძე, ლაშა ქველამე, ვანო ბურნაძე, არსენ ახვერდიანი, ლევონ აკოპიანი, მათა გელაშვილი, ანარ პირიევი, მახარატ ალახვერდიევი, მახირ ბაირამოვი, ნაზილა მუსტაფაევა, გიუნაშ რიზაგულიევა, აიაზ ხუდიევი, თამარ აბასოვა, რახმან მუსაევი, სოსო ინაძე, რამალ ახმედოვი, ნარგიზა ალიევა, მარინა პეტროვა.

არ ესწრებოდა:

როვმან ისკანდაროვი, ჯეიხუნ ჩოიდაროვი, ადილ გურბანოვი, ომარ ირიშოვი, ნიკოლოზ გოგოჭური, მეხტი ასკეროვი, დავით ქიმაძე.

სხდომას ესწრებოდა -

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე **ზურაბ ფანგანი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ვუგარ მამედოვი**, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი **ნინო დეკანოიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი **ნინო ბერიძე**, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სპეციალისტები, ასევე მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების და განყოფილებების უფროსები.

ასევე ესწრებოდნენ:

მარნეული TV-სა და რადიო მარნეულის წარმომადგენლები.

**განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:**

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 დეკემბრის N41 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის საწვავისა და სასაუბრო ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №17 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
3. სოციალური საკითხები.

4. „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N84 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

### **განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:**

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 19 ივლისის N32-3222200102 წერილით შემოსული „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 01 დეკემბრის N41 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N11. 20.07.2022 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 07 ივლისის N32-3222188112 წერილით შემოსული „მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიისათვის საწვავისა და სასაუბრო ლიმიტების განსაზღვრის თაობაზე“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 17 მარტის №17 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N30. 20.07.2022 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჭონიაშვილმა საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების განცხადებები.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი და ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება საოქმო ამონაწერი გადაეგზავნოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თეონა ფარჯიანმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის საწვავისა და სასაუბრო ბარათების ლიმიტის დაწესების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 დეკემბრის N84 განკარგულებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N31. 20.07.2022 წ).

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის მერვე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე:  
ამირან გიორგაძე